

ბიფლოქს ფორტე (Biflox forte)

Enrofloxacin 20%

წამლის ფორმა

ხსნარი პერორალური, გამოიყენება ვეტერინარიაში

სამიზნე სახეობა: ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, თევზი

შემადგენლობა

1მლ შეიცავს: ენროფლოქსაცინს 200 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ბენზილის სპირტი, ასკორბინის მჟავა

აღწერა: ოდნავ მოყვითალო ფერის გამჭვირვალე ხსნარი, ნაწილაკების გარეშე.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ენროფლოქსაცინი ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბიოტიკია, ახასიათებს ფართო სპექტრის ანტიბაქტერიული მოქმედება, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ: *Escherichia coli*, *Haemophilus spp.*, *Klebsiella spp.*, *Pasteurella spp.*, *Pseudomonas spp.*, *Bordetella spp.*, *Campylobacter spp.*, *Erysipelothrix spp.*, *Corynebacterium spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Actinobacillus spp.*, *Clostridium spp.*, *Bacteroides spp.*, *Chlamydia spp.*, *Rickettsia spp.*, *Mycoplasma spp.* პრეპარატის მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ფერმენტი ჰირაზას აქტიურობის ინჰიბირებას, რომელიც ბაქტერიული უჯრედის ბირთვში დნმ-ს სპირალის რეპლიკაციაზე ახდენს გავლენას.

პრეპარატის პერორალურად მიღებისას ენროფლოქსაცინი სწრაფად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, აღწევს ორგანიზმის ყველა ორგანოებსა და ქსოვილებში, ცხოველის სახეობის მიხედვით მისი მაქსიმალური კონცენტრაცია პლაზმაში მიიღწევა 0,5-2,5 სთ-ში და ნარჩუნდება 7- 10 სთ განმავლობაში, თერაპიული კონცენტრაცია გრძელდება 24 სთ-ის განმავლობაში. ენროფლოქსაცინი ორგანიზმიდან მეტწილად გამოიყოფა ცვლილებების გარეშე და ნაწილობრივ მეტაბოლიზებული შარდთან ერთად და ნაწილობრივ ფეკალთან ერთად.

პრეპარატი ცხოველის ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება ნაკლებად საშიშ ნივთიერებებს (საშიშროების კლასი 4, სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით), რეკომენდებული დოზებით მას არ აქვს გამოხატული მასენსიბილიზებელი, ემბრიოტოქსიური, ტერატოგენული და მუტაგენური ეფექტი.

გამოყენების ჩვენებები

ბიფლოქს ფორტე გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ტბის თევზის, ფრინველის რესპირატორული და საჭმლის მომწელებელი სისტემის ბაქტერიული ინფექციებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ (როგორცაა (ბრონქო-) პნევმონია, პასტერელოზი, მიკოპლაზმური ინფექციები, კოლიბაქტერიოზი, ენტერიტი, პარატიფი, ასევე გამოიყენება საშარდე გზების ინფექციების, ჭრილობების ინფექციებისა და მეორადი ბაქტერიული ინფექციების (ვირუსული დაავადებების გართულებების) დროს, რომელთა გამომწვევი მიკროორგანიზმები მგრძნობიარეა ენროფლოქსაცინის მიმართ.

გვერდითი მოვლენები

ინსტრუქციის შესაბამისად პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოვლენილა.

ენროფლოქსაცინი საშარდე ტრაქტში ხანდახან იწვევს კრისტალიზაციას. ამიტომ პრეპარატის მიღებისას წყლის მიწოდება არ უნდა შეიზღუდოს.

პრეპარატის მიმართ ცხოველის ინდივიდუალური მგრძობელობის გაზრდისა და გვერდითი მოვლენების გამოვლენისას (საკვების მიღების შეწყვეტა, ლებინება, თავბრუსხვევა, სისუსტე) პრეპარატის გამოყენება წყდება.

უკუჩვენებები

პრეპარატი არ გამოიყენება ღვიძლის და თირკმლების უკმარისობის მქონე ცხოველებში;

ცხოველების მაკეობის პერიოდში და კვერცხმდებელ ქათმებში.

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი გამოიყენება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, დღეში ერთჯერ, 3-5 დღის განმავლობაში, შემდეგი დოზებით:

ფრინველის ინდივიდუალურად - 1მლ/20კგ ც.წ-ზე (ფარმ. დოზა: 10მგ/კგ ც.წ-ზე), წყლთან ერთად, დღეში ერთჯერ, ჯგუფურად იხელმძღვანელებ ცხრილის მიხედვით.

1000 ფრთა ფრინველისთვის

ასაკი	ცოცხალი წონა (გ)	დასალევი წყლის ოდენობა (ლ)	ბიფლოქს ფორტე დოზა (მლ)
1 დღე	50	5	2.5
1 კვირა	200	20	10
2 კვირა	400	40	20
3 კვირა	750	60	40
4 კვირა	1200	100	60
5 კვირა	1650	140	80
6 კვირა	2000	180	100

მკურნალობის დროს ფრინველის დასალევად გამოიყენება მხოლოდ სამკურნალო წყალი. მკურნალობის ხანგრძლივობაა 3 დღე, სალმონელოზის დროს - 5 დღე.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს: ინდივიდუალურად, 0,5-1მლ/40კგ ც.წ-ზე ან 4-5 მლ/ 150-200 კგ ცოცხალ წონაზე (ფარმ. დოზა: 2,5-5 მგ ენროფლოქსაცინი / კგ ცოცხალ წონაზე, აქტიური ნივთიერების მიხედვით), დღეში ერთჯერ, 3-5 დღის განმავლობაში; ჯგუფურად 100 მლ პრეპარატი / 50-150 ლ სასმელ წყალზე, დღეში ერთჯერ, 3-5 დღის განმავლობაში,

თევზი: 2.5 - 5 მლ პრეპარატი / 100 კგ ცოცხალ წონაზე (5-10 მგ/კგ ც. წ-ზე, აქტიური ნივთიერების მიხედვით) 3-5 დღის განმავლობაში, დაავადების სიმძიმის მიხედვით.

პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება პრეპარატის თერაპიული დოზის ნახევარი, 3-5 დღის

განმავლობაში.

რთული და ქრონიკული ინფექციების დროს სამკურნალო დოზა შეიძლება გაორმაგდეს.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

პრეპარატი სინერგიულ ურთიერთქმედებას ავლენს ფტორქინოლონების, ამინოგლიკოზიდების, ბეტა-ლაქტამურ და სულფანილამიდურ პრეპარატებთან.

დაუშვებელია პრეპარატის ერთდროული გამოყენება მაკროლიდებთან, ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატებთან, ქლორამფენიკოლთან, ნიტროფურანებთან, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებთან, თეოფილინთან ანტაგონისტური ეფექტის გამოვლინების გამო.

დაყოვნების პერიოდი

სას.სამ. ცხოველების სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ, ფრინველის 12 დღის შემდეგ; კვერცხის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 9 დღის შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბეწვიანი ნადირის საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

თევზის რეალიზაცია ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 10 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 2 წელი.

გამოშვების ფორმა: 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბიოტიკი. **ATCvet code:** QJ01MA90

მწარმოებელი ქვეყანა: შპს “ბიოტექსი”, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ #8